ხელშეკრულება №145
(სახელმწიფო შესყიდვის შესახებ)

ქ. მცხეთა 2019წ.

ერთის მხრივ სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“ (შემდგომში-შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის თეიმურაზ ასათიანის სახით და მეორეს მხრივ შპს „ვინალუს ბალტიკი“ ს/ნ400099415 (შემდგომში–მიმწოდებელი) წარმოდგენილი მისი დირექტორის მანუჩარ ეხვაიას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს[1] ქვეპუნქტის და ზურაბ ჯაბახიძეს სამსახურებრივი MES 1 19 00928355 საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ ილია წინამძღვრიშილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის 2019 წლის საკუთარი სახსრებით 1.2 პუნქტით განსაზღვრული საქონლის სახელმწიფო შესყიდვა, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

1.2 კლასიფიკატორის კოდი - 16800000

	CPV კოდი	საქონელი	ზომის ერთეული	რაოდენობა (ცალი)	ერთეულის ღირებულება (ლარი)	ჯამური ღირებულება (ლარი)
1	16810000	კარდნული ლილვი	ცალი	1	110	110
				სულ		110

2. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორება

2.1 ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 110 (ასათი) ლარს;

2.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს;

2.3 შემსყიდველი ვალდებულია განახორციელოს უნაღდო ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, ეროვნულ ვალუტაში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადები და ადგილი

3.1 ხელშეკრულების საგნის შემსყიდველისათვის გადაცემა მოხდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

3.2 ხელშეკრულების საგნის მიწოდების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის მხრიდან საამისოდ უფლებამოსილ წარმომადგენელთა ხელმოწერით;

4.2 მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდება მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შემთხვევაში;

4.3 ხელშეკრულების პირობების შესრულების ინსპექტირება შესაძლებელია ხელშეკრულების მოქმედების მთელ პერიოდში.

5. მხარეთა მოვალეობანი

5.1 **შემსყიდველი ვალდებულია:**

- ✓ წერილობითი ფორმით აცნობოს მიმწოდებელს ინსპექტირების დროს აღმოჩენილი ნაკლის შესახებ;
- ✓ გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა;

5.2 **მიმწოდებელი ვალდებულია:**

- ✓ გადასცეს შემსყიდველს შეთანხმებული ხელშეკრულების საგანი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, დათქმულ დროსა და ადგილზე;
- ✓ უზრუნველყოს ხელშეკრულების ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ნაკლის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აღმოფხვრა ამისათვის საჭირო გონივრულ ვადაში;

6. მხარეთა პასუხისმგებლობა

6.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.02 %-ის ოდენობით;

6.2 ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში (გარდა ფორსმაჟორული გარემოებისა) დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 20%-ის ოდენობით.

7. ხელშეკრულების მოქმედების ვადა, შეწყვეტა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით;

7.2 ხელშეკრულება ვადაზე ადრე შესაძლებელია შეწყდეს მეორე მხარისათვის გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე, ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, თუ ვალდებულების დარღვევის გამო გაგზავნილ წერილობით შეტყობინებას, მითითებულ გონივრულ ვადაში, ვალდებულების შესრულების შესახებ არ მოყვება რეაგირება დამრღვევი მხარისაგან, აგრეთვე ფორს-მაჟორული გარემოების შემთხვევაში.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების ცვლილება დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

8.2 ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პირობის დადგომისას, დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამურის ღირებულების გაზრდა 10%-ზე მეტი ოდენობით.

8.3 ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, მხარეთა შეთანხმებით, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

9. ფორს-მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ეპიდემიები, კარანტინი, მორატორიუმი, ემბარგო, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე;

9.2 მხარე, რომელსაც შეექმნება ფორს-მაჟორი გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

10. დავების გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების დამდები მხარეები თანხმდებიან მასზედ, რომ ყველა ღონეს იხმარენ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ნებისმიერი უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული საკითხების ირგვლივ;

10.2 თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შესძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

11. სხვა პირობები

11.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე;

11.2 წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, ელექტრონულად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (მიმწოდებელთან და შემსყიდველთან).

12. მხარეთა რეკვიზიტები

სსიპ „ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი“
მის: მცხეთის რეგიონი, სოფ. წინამძღვრიანთკარი
საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851
ელ- ფოსტა: tmkcommunitycollege@gmail.com
ტელ: (995 32) 210 30 29

დირექტორი
თეიმურაზ ასათიანი

შპს „ვილანუს ბალტიკი“

მის: თბილისი კახეთის გზატკეცილი 51-ე კილომეტრი
საიდენტიფიკაციო კოდი: 400099415
ს.ს. ტერაბანკი
ანგ/: № GE14KS0000000360205118
ტელ:0322420272

დირექტორი
მანუჩარ ეხვაია

LEPL ILIA TSINAMDZGVRISHVILI COMMUNITY COLLEGE

Digitally signed by LEPL ILIA TSINAMDZGVRISHVILI COMMUNITY COLLEGE
Date: 2019.07.18 16:10:30 +04'00'